

თავისუფალი საქართველო

გერბული გაგვიღის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი 25 X 1991 ფასი 50 კაპ. № 40 (45)



ზღაპარი ახალი იმისა, როგორ გაიხსნა საქურჭლე და გათავისუფლდა ეონები

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მშვენიერი ქვეყანა. ძველი კულტურისა და დიდი ისტორიის მქონე. მრავალი ქირ-ვარამის მნახველმა მცირერიცხოვანმა ერმა, ღვთის წყალობით, ღირსეულად გადაიტანა ყოველი განსაცდელი, შეძლო შენარჩუნებინა ენა და საწმენო-რობაც, რაც უდავოდ შედეგი იყო ამ ხალხის გონიერების და გამორჩეული ინდივიდუალობისა. მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას, გადის ხანი და ესოდენ მრავლისმანაველი და ბრძენ ხალხს თვალს ბინად გადღვარა, დაკარგა ანალოზისა და აზროვნების უნარი და საკუთარი ნებითა და სურვილით დაამკვიდრა ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისთვის მიუღებელი დიქტატორული სახელმწიფო წყობა. მძლავრობა ღმერთს, ისე არ წახდა ამ ქვეყნის საქმე, რომ გზის გამკვალავი არ დარჩენილიყო ამ ზნეღვთიან, გადარჩენილი დემოკრატიის ნაზიარები საზოგადოების განათლებული ნაწილი იყო და თუმცა დიქტატურასთან ბრძოლის გამოცდილება არ ჰქონდა (გასაჯვირიც არ არის, აქამდე ამის საჭიროება არ არსებობდა), სამაგიეროდ გაათავისა დემოკრატიის მთავარი პრინციპი, კერძოდ, უმრავლესობის ნების გათვალისწინება და პარტიციპა, ბრძოლის მხოლოდ მშვიდობიანი გზა. განსაკუთრებით ვერ ჰკუთხდა დიქტატურის ბორკილებს აქამდე თავისუფალი პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი და წამომწყის კიდევ მშვიდობიანი აქცია ტელევიზორტაქციის წინ. დიქტატურის თავდასხმების მოსაგრიბლოდ მათ გვერდით დაუდგა მშვიდობიანი შეიარაღებული რაზმი, მშვიდობიანი ავტორიტეტით, მშვიდობიანი ქვეყნებთან და მშვიდობიანი ზარბაზნით და დიფერ გრანდოზული, მშვიდობიანი აქცია. დამამბებით მონაწილეობას ზმირად აღვიძებდა და

ზოგჯერ ბიელ ღამეს არ აძინებდა მშვიდობიან მომიტინგეთა მშვიდობიანი სროლა ავტორიტეტის, ხელყუმბარების და ერთხელ მშვიდობიანმა ზარბაზნმაც დაიქუხა. დიკონული ხელისუფლება კი აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა მშვიდობიანი ოპოზიციის მიმართ. ერთ მშვენიერ ღამეს, მშვიდობიანი შეიარაღებული რაზმი მშვიდობიანად სვირბობდა ერთ-ერთი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტთან, სად იყო და სად არა, უეცრად, მას თავს დაესხნენ აგრესიული ხელისუფლების წარმომადგენლები და ცუცხლი გაუხსნეს. მშვიდობიანი შეიარაღებული რაზმი უკუქცა, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა არ შეეწყვიტა მშვიდობიანი, დემოკრატიული ბრძოლა და არც შეეწყვიტა, უბრალოდ, შემდეგ მსგელობის დროს ვაამდიდრა მშვიდობიანი იარაღის არსენალი ქვებითა და დატვილია მუშებით.

დემოკრატიისათვის ბრძოლის გზა ია-ვარდით მოფენილი როლია, მაგრამ მედგარი ოპოზიციონერები უზად იყვნენ ყველანაირი განსაცდელისთვის, სისხლის ღვრისთვისაც კი. და აი, დადგა უამბი, როდესაც მშვიდობიანი ოპოზიციის მშვიდობიანი მსგელობით უნდა დაეშხო პირისპირიანი დიქტატორი. დამით ისინი გამოემართნენ მთავრობის სახლისკენ აღქურვილი მხოლოდ მშვიდობიანი საბრძოლო საშუალებებით, მაგრამ დიქტატურა რა დიქტატურა იქნებოდა, რომ უპასუხოდ დაეტოვებინა ისინი. გაგული-სებული დიქტატორი ოპოზიციისთან რომ ეგრას გახდა თაჟის მხარდამქრებს დაუშინა ტყვიები, მშვიდობიანი ოპოზიციის კი დილაღე იქდა მშვიდობიანად მთავრობის სახლის წინ და მხოლოდ მშვიდობიანად აარდა ქვებს, დატვილია მუშებსა და მშვიდობიანი ავტორიტეტს. გამოსდა ხანი, მშვიდობიანმა აქ-

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გერბული გაგვიღის დასდება

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გერბული გაგვიღის მიზანია საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელი შობრობის თვისობრივად ახალ ეტაპზე, პარტიათა მოქმედების კოორდინაცია და ურთიერთკონსულტაციების საფუძველზე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საერთო პოლიტიკური კურსის კატარება. გერბული გაგვიღის შემქმნელ პოლიტიკურ ორგანიზაციებს დასაშვებად მიანიათ თანამშრომლობა უველა ოფიციალურ, მშვიდობიან, ძალადობის უარყოფელ ორგანიზაციებთან და პირდაპირებთან, ამავე დროს გამოცხადებული არ არის დიალოგი ცალკეულ ჯგუფებთან ან პირდაპირებთან. გერბული გაგვიღის შემზაობაში მონაწილეობას იღებენ: 1 მუდმივი (დამფუძნებელი), წევრი ორგანიზაციები 2 სრულუფლებიანი წარმომადგენლი, წევრი ორგანიზაციები 3 სრულუფლებიანი წარმომადგენლი, ინდივიდუალური წევრები და მოწვეული სტუმრები.

- წევრები:**
- 1) საქართველოს პელისიკის კავშირი.
 - 2) სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება.
 - 3) ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
- წევრი ორგანიზაციები:**
- 1) ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
 - 2) ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
 - 3) ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი.
 - 4) საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

ეს ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლები სტუმრის სტატუსით სისტემატურად მონაწილეობენ გერბული გაგვიღის შემზაობაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნან გერბული გაგვიღის შემადგენლობაში, წევრ ორგანიზაციებთან.

- გერბული გაგვიღის მოქმედების პრინციპები:**
- 1. გერბული გაგვიღის ხსდომები მიჰყავს სპიკერს, ხსდომის დროს მონაწილე პირდაპირები და ორგანიზაციები ვალდებული არიან იმოქმედონ სპიკერთან შეთანხმებით.
 - 2. გერბული გაგვიღის მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციები თავისუფლად არიან შიდა ორგანიზაციულ მოქმედებებში.
 - 3. გერბული გაგვიღის მონაწილე ორგანიზაციები თავისუფალნი არიან პოლიტიკურ მოქმედებებში, თუკი მათი ქმედება არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური ბლოკის საერთო პოლიტიკურ კურსსა და მრწამსს.
 - 4. ეს პირდაპირები ან ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც დაარდები გერბული გაგვიღის მუშაობის პრინციპები, გუვანდლ იქნებთან მრგვლი მაგდის შემადგენლობიდან დამფუძნებელი წევრების მშობ-შარაღლებობით.
 - 5. გერბული გაგვიღის მუდმივი წევრ ორგანიზაციებმა უფლება აქვთ წამო-მოაღიწონ ინდივიდუალური წევრები სათათბირის წმს უფლებებით.
 - 6. ახალი წევრების მიღება და გარიცხვა წევრები დამფუძნებელი ორგანიზაციები.

პოლიტიკურ პარტიათა გლოგ გერბული გაგვიღის განცხადება

გამომდინარე საყვედთაოდ აღიარებული დემოკრატიის პრინციპების დან, ქვეყანაში არსებული ფაქტობრივი ვითარებდან და პოლიტიკურ განიზაციათა ურთიერთთანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე დაის გათვალისწინებით, აგრეთვე ერის ნების გამომხატვლო ორგანიზაციების საბჭოს მიერ მიღებულ კანონების საფუძველზე, გერბული გაგვიღის პოლიტიკური ორგანიზაციები ახალი წესდებისა და საშუაო პრინციპების მიღების შემდეგ ვალდებული ვართ განვაცხადოთ:

- 1. ბათილად იქნას ცნობილ გერბული გაგვიღის ძველი წესდები (საგებული, თბილისი, 11 მანხი 1990 წ. გამოქვეყნებული „ახალგაზრდა კავშირი“ 15/4-1991 წ.).
- 2. გუვანდლ იქნას გერბული გაგვიღის შემადგენლობიდან „მერამ კავშირის“ საზოგადოება, რომელმაც კატარება ძველი წესდების მფუნდებით და № 2.
- 3. აგრეთვე ახალი წესდების მიხედვით, მუხლი № 2.
- 4. დამფუძნებელ წევრებზე ჩიოთავლობა დარჩენილი ხაში ორგანიზაციის წინაშე.

სალური

ორი ინტერვიუ ტელევიზიისადმი

ტელევიზია დღევანდელ დღეს თითოეული ჩვენი თანამოქალაქის ტექნიკური და ხარისხობრივი საკითხი. ხაკიალი დრო გავიდა მისი აწიოების დღიდან, მაგრამ ქვეყნის არაფერია ნათელი საზოგადოებისთვის — ვინ უნდა აგოს პასუხი წლების განმავლობაში სიმწრით შეგრავილი აპარატურის დარღვევებისთვის. ვინ უნდა დააარსოს თავის მოქალაქეობრივ და უფროსად მართლმადიდებელ დღეებში, ვინ ხელს უწყობს აქაოს, გალაკტიონის, უზნაგა ჩხეიძის ხმა? ვინ დააარსა ქართული სულა?

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა „მომავლის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ტელე-რადიო დეპარტამენტის თანამშრომელთა გაფიცვის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ბ-ნ ზედაძე მონაწილეს და საქართველოს დამსახურებულ დიქტორს, ქ-ნ თინა ზვალაგაძეს.

ქმრ. — ბ-ნ ზედაძე, თქვენ როგორც ტელევიზიის თანამშრომელთა გაფიცვის კომიტეტის წევრი, რას ფიქრობთ ტელევიზიის ასეთი გაპარტახების შესახებ?
ბ. ზ. — არავითარი საგაფიცო კომიტეტი არ არსებობდა. ეს იყო ყოველგვარი ორგანიზების გარეშე, სპონტანურად მოწყობილი გაფიცვა, რომელიც ყველა ერთგულად იღებდა მონაწილეობას. რაც შეეხება იმას, რაც მოხდა აქ, ტელევიზიის შენობაში, რაკეტაში, მბატკრის სასწრაფო ფილარმონიაში — ეს ყველაფერი არის ამპარტორის, არ ვიცი რითი შეიძლება ყოველივე ამის ჩამოშორება გამოვლინება.

ქმრ. — თქვენს მიერ წამოწყებული აქციაზე ხელი შეუწყო ტელევიზიის სამსახურში მუშაობის გაფიცვას — დღეს არა გაჩანაგებულა. გრძობთ თუ არა რაიმე მორალურ პასუხისმგებლობას ყოველივე ამის გამო?
ბ. ზ. — თქვენი გაზეთი ძალიან დინტერესებულია მორალთა და ვნებებით. მე სისტემატურად ვაღივებ თვალყურს მასში გამოვლენებულ პუბლიკაციებს. რაც შეეხება მორალურ პასუხისმგებლობას, იგი ეკისრება მათ, ვინც მატრიარქული პასუხისმგებლობა ახედავს. ჩვენ აქცია ვატარებდით, კომიტეტი ვისხედით, მაგრამ ის, ვინც აქციაში მონაწილეობას არ იღებდა და მუშაობდა, რატომ გაიქცა?

ქმრ. — ტელევიზიის თანამშრომელთა ერთი რაგონი გაფიცვის შედეგად და და ყოველივე იმის შედეგად რაც აქ მოხდა, საქართველოში დაიშინა ხისხი. დარდა კი ათი ადამიანის სიცოცხლეზე თქვენს პროფესიული მოთხოვნების დამაკაყოფილებად?
ბ. ზ. — უპირველეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ქვეყნის მთავარი რედაქტორი, ვინც აქციაში მონაწილეობას არ იღებდა, დაქვრივდა. ჩვენი ყოველი და მატრიარქული, ვალერი კვარაცხელია. ჩვენი აქციები მშვიდობიანი იყო, ჩვენ ვითხოვდით მხოლოდ და მხოლოდ პარტის კანონის დაცვას და ამ კანონიდან გამომდინარე, ჩვენი უფლებებისა და მოვალეობების შესრულებას, გარდა ამისა, დეპარტამენტის სელმძღვანელობის გადადგომას და ახალი, დემოკრატიული სტრუქტურების შექმნას სახელმწიფო ტელევიზიაში, რომელიც იმუშავებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ზემოხსენებული კანონის საფუძველზე. ჩვენი მშვიდობიანი აქციის შედეგი სისხლისღვრა არ უნდა ყოფილიყო, მისი მიზეზების ძიება სხვაგან არის საჭირო.

ქმრ. — ბ-ნ ზედაძე, მე თავად გახლავართ ტელე-რადიო დეპარტამენტის თანამშრომელი და აქ ვიყავი 16 ნექტემბერს. როდესაც შენობაში არ შემიშვეს, მოაკეტებენ ვეაოხრე, თუ რას მოითხოვდნენ ისინი. პარველი მათი მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომა გახლდათ ქვეყნის 16 ნექტემბერს. როდესაც აქციაში ეს აღწაფილხართ იყო.
ბ. ზ. — ვინ არის პროვოკატორი. მსგავსი რამ ჩვენ არასოდეს მოგვიტოვია. ბევრი უშვებს ამ შეცდომას ნებისთნ თუ უნებლიეთ, თითქოს ჩვენ პრეზიდენტის გადადგომა მოგვეთხოვა. ასეთი რამ არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ პროტესტი გამოვთქვით, რომელსაც დღესდღეობით ტელევიზიის 400-მდე თანამშრომელმა მონაწილეობა ხელი. კიდევ ვიყარებ, ჩვენი მოთხოვნები მხოლოდ პარტის კანონის დაცვას ეხებოდა და ეხება ახლაც. ჩვენ ტელევიზიის პიკეტაგებაში მონაწილეობ-

წარსულში პრევილგირებული, დღეს კი, უკმაყოფილო ადამიანები და უფროსობა ერთი რაგონი კვლავ თაზიციან ჩაუდგა ქართველთა ნებას. შემზარავ შედეგზე კი, რა თქმა უნდა, არავის უფიქრია. არადა, მონდა გამოუსწორებელი რამ — ქართველი ბიჭები დაიღუპნენ ქართველებისვე ხელით. ეს კომპარტიული დღევინი სამარცხენოდ შეგა ჩვენ ისტორიაში. ახლა ყოველივე უნდა გაეანალიზოთ და მართებული დასკვნები გამოვიტანოთ. ქრისტიან ადამიანს ცოდვის მონანიებაც უნდა შეეძლოს.

ქმრ. — ქ-ნ თინა, თქვენ 30 წელია ტელევიზიაში მუშაობთ, როგორ გეგონათ, მქონდათ თუ არა გაფიცვის რეალური საბაზი დეპარტამენტის თანამშრომლებს?
თ. ზ. — რა თქმა უნდა არა, „პიკის საათისთვის“ არანაირი შეზღუდვები არ არსებობდა. „პიკისთვის“ თავისუფლების კანონის“ აგრეთვე გადმოვიტარე უფროსად, ვფიქრობ, სწორად უნდა იყოს აღიქვადნენ უფროსობის ერთი ნორმები. ისინი მთავარი რედაქტორის ვინის გარეშეც გადიოდნენ ეთერში. გაუგებარია, რა აქვთ საომარი დღეს?

ალარას ვამბობ, როდენ უსახურო თავისუფლება აქვთ პარტისაში. მათი განუთების კრებო ხომ სიცრუეა — ასეთი განუთები სერიოზულად არც არის მხედველობაში მისაღები. მართე გამოკვეყნებული პუბლიკაციები არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანების ნაღვალს ჰკავს. ჩემში ეს სიბრაულს იწვევს.

ქმრ. — როგორ გეგონათ, ვის ეკისრება მორალური პასუხისმგებლობა ტელევიზიის განხიგებისთვის. აქი უფროსობის მარკა ბატონი თავადვე ბრანებს: „მოპოცი და დეპარტამენტის მუშაკები პიკეტაგებას უწყვენ შენობას იმის გამო, რომ სიბრაულე ითარგუნება“ („მართალი კამოთ“ ვაზ. ცხოვრება და კანონი“, 1991 წ. 24. IX. № 19/34).

თ. ზ. — რა თქმა უნდა, მოპიკეტებს, ვინც საშუალება მისცა შეიარაღებული ხალხს ტელევიზიაში შეჭრილიყვნენ. 3000 თანამშრომელად 300 კაცმა, რატომაც, საკუთარ თავს ტელევიზიის ბირთვი უწოდო. იქნებ მოგვეყოს საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა, ერთხელ და სამუდამოდ დაგვედგინო, როდენ მონბლულია დაყოფებოთ თუ მსმენელი მათი ცქერითა და სმენით. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა, რომიერების საზღვრები მოექცეოდა მათი მართლაცა განუსაზღვრელი და ხშირად დაუმსახურებელი უფლებები. მაშინ ისიც გასაგებ გახდება, არის თუ არა ეს 300 კაცი ტელევიზიის ბირთვი.

სწორედ მათ, მოპიკეტე უფროსობის თაზიციან შეიარაღებული თაზიციან. მწილი დასაქრებელია, რომ ამ უფროსობისგან არ იცოდნენ რა ხდებოდა შენობაში, მათსავე შტაბში. ვინ გადაარჩინა „პიკის საათის“ აპარატურა? (ესეც ხომ „დასაფასებელია“, რა თქმა უნდა) ფაქტი სახეზე და ვერსად გაქცევან. ერთსაც ვიტყვი: როგორც ყველგან, ჩვენს ქვეყანაშიც, არსებობს სახელმწიფო ტელევიზია, რომელიც ობიექტურად ემსახურება თავის ქვეყანას — ხელმძღვანელობს სახელმწიფო ტელევიზიაში ინჟინერს. ასე ხდება ცივილიზებულ მსოფლიოში. ვაცლავ მაველმა რადიკალური რეფორმები ჩატარა — მათიანად შეცვალა კონტინგენტი ტელევიზიაში. ჩვენთან კი, ყველაფერი პრობლემატან არის დაკავშირებული. თაზიციან პრეზიდენტის „დათურ“ სამსახურს გაწეების. რატომ არის გამაღვანებული სიყვარული დათურის სამსახური, ლანძღვა-გინება კი პირიქით, იქნებ გადაჭარბებული სიკეთე სჯობდეს გადაჭარბებულ სიძულვილს?

ქმრ. — ქ-ნ თინა, როგორ გეგონათ ტელევიზიის მომავალი?
— ალბათ, დიდი დრო დასჭირდება ყოველივე დასაქრულის აღდგენას, ხოლო თაზიციან რაც შეეხება, თუკი ეს ნამდვილი, ცივილიზებული თაზიციან იქნება, უნდა შექმნას კერძო ტელევიზია (თანამდებობები, რამდენადაც ვიცით, დანაწილებული აქვთ) და ამ კერძო ტელევიზიის საშუალებით უფრო სრულად წარმოაჩინოთ საყოველთაო სიყვარული დათურის სამსახური, ნიკი და შესაძლებლობები თაზიციანობაშია უფროსობისგან, თუმცა ისინი მაინც ვერ გაქცევან პასუხისმგებლობას.

ისტორია გვერ ქვეყნის სასწავლავლს გვესაუბრობს

თბილისში, გარბიოდვის ქუჩაზე ცხოვრობს ქალბატონი მონა ახმეტელი-ლ-ლიპა, დამახსურებული ექიმი. მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი ქალბატონ მონა. მასზე და მის ოჯახზე გადაიარა კომუნისტური რეპრესიების ყველა ხისხსტივე. ქალბატონი მონა მდიდარი ტრადიციების მქონე ოჯახის წარმომადგენელია. წარსულმა მას ბევრი მოგონება და ტივილი დაუტოვა. გთავაზობთ მის ნაუბრს:

მამაჩემი იყო სიკო ასმეტელი (ასმეტელი-მელი), დამფუძნებელი კრების წევრი. დამთავრებული ჰქონდა ტარტუს უნივერსიტეტის აგრონომიული და ზოოტექნიკური ფაკულტეტი. 1918 წლის 26 მაისს მან საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე მთაწერა ხელი. დედა პედაგოგი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ნოე რამიშვილის პირად მდივანად მუშაობდა. მამას უფროსმა ძმამ, გენერალ-მაიორმა სტეფანე ასმეტელაშვილმა, ჩამოაყალიბა თბილისის საზენდრო კორპუსი. 1915 წელს იგი დააჯილდოვდა გერმანიაში გამოვლენული ქართველი ლეგიონის მედალით, რომელზედაც თამარ მეფის გამოსახულება იყო ამოტიფრული. მიღებული ჰქონდა ჯების სიგელი და დიდოფალი ანას ორდენი.

1921 წელს მამა, თავის ძმასთან, სტეფანესთან ერთად, იბრძოდა ტაბახმეტის მისაღვრებთან მეფეთმეტე არმიის წინააღმდეგ. დამარცხებამ იმდენად მძიმედ იმოქმედა, რომ გენერალი თავს იკლავდა, მაგრამ ოფიცრებმა გადაარჩინეს. სიუბედუროდ, ცოტა ხანში ტყვედ ჩაუვარდა კომუნისტებს, ტყვეობა რუსეთში გადაასახლეს. მამაჩემმა არ მიატოვა ძმა და უმძიმესი განსაცდელის ქაშს თან გაჰყვა. ბიძა, სტეფანე, ციხეში დაიღუპა, მამა — ციხეში გადასახლეს.

1924 წელს ჩვენს ოჯახში იმაღლებოდა აჩანყების ერთ-ერთი მონაწილე. გოგონა ვლადე. ვილაცამ ვაგეცა. დედაჩემის ძმა, სტეფანე გორგი ყონამეილი, დააპატიმრეს. რამდენიმე თვეში მეტრის ციხიდან მისი დახვრების ამბავი მოუვიდა ოჯახს.

მამა გადასახლებიდან 1930 წელს დაბრუნდა. 7 წელიწადში ისევ დააპატიმრეს და დახვრტეს. ასეთი გასლავთ ჩემი სიცრის მოგონებები — დააპატიმრება, დახვრტება, რუბენსიბი, გაქირებება, შიში, უბედურების მოლოდინი...

მეტი მტროფანე ლალიძის ვაჟს რამაზს გაყვეო ცოლად. არც აქ მქონია დამახსურებელი ცხოვრება. ჩვენი ოჯახი მუდმივ დევნას, ჩაგვრასა და აწიოებას განიცდიდა. მაგრამ ცხოვრება ბოლომდე უიმედოდ და უსისხარული არასოდეს არის ხოლო. მტროფანე ლალიძის ოჯახში ბევრ საინტერესო და ღირსეულად ადამიანს შევხვდი. ეს შეხვედრებაც კურთთხირებები, საუბრები ალამაზება ჩვენს მიმე ყოფას. მტროფანე ლალიძის ხშირი სტუმრები იყვნენ ბატონები: ლეო ქიჩიგული, ცონსტანტინე გამსახურდია, სამსონ ფირცხალავა, შაქრო სამადაშვილი, ალექსანდრე სიგუა და სხვები. ჩემი ვაჟი კი თანაკლასელი იყო ზვიად გამსახურდიასი, რომელიც იმთავითვე გამოარჩეოდა სიმამითა და სიმტკიცით, ახლა ამაზე საუბარი თითქოს უბერსულიც კია, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ოჯახი ახლაც სათუთად

ინახავს ზვიადის გულითად საჩუქარს, პატრია ქინდაკებას სამი თეთრი ბელის გამოსახულებით... ახლა, როცა შორიდან ვუყურებ განვლილ გზას, ვხედები, რომ მთელი ცხოვრება კომუნისტებისადმი ზიზღით გავცარე. ვისა აქვს უფლება, ადამიანის ყოფა ასე დაამახინჯოს? ბავშვობიდანვე — ვიცილი, რომ ყველაფერი, რაც გარს გვერტყა — სიკრუე, სიყალბე, ბოროტება და სისასტიკე იყო. გამოვლენული შიშის ქვეშ ვცხოვრობდი წლების მანძილზე. ჩვენებრ დევნილი ოჯახი იმდროისათვის ბევრი იყო. უძლურნი ვიყავით, რაიმე შეგვეცვალა. ჩვენს ბელს ტრატალოტარული ბოროტება განაგებდა. არ ჩინდა არავითარი გამოსავალი. ადამიანის ღირსებას მხოლოდ უღლეური სოციალისტური იდეები განსაზღვრავდა. ინტელიგენცია მოსპეს, ამოიკრეს, ვინც ვალარა, უფროსობის მრეხად აქციეს.

დღესაც ისმის ხმები დიქტატურის შესახებ. მეჩვენებთ, თითქმის მთელი ცხოვრება დიქტატურის, სიხსტიის ქვეშ ვიცხოვრე და ვიცი რაც არის დიქტატურა. ჩემი ოჯახის ამბავიც იმტომ გიაშვით, რომ ნათლად დაგენახათ ნამდვილი ბოროტება.

განსაკუთრებით გააფთრებით კომუნისტები ეროვნულ იღვას გბროდნენ. ყველა ჩემი ახლობელი საქართველოს სამსახურს შეეწირა. სამშობლოს სიყვარულისთვის გაადღვრენის ამღელი სისხლ, ამიტომ ვერასოდეს ვავიზარებ იდეოლოგიას, რომელსაც სოციალისტი იდეოლები წარმოაგენ, ვერ დაგვდევი ეროვნებაწარმომეული ხალხის გვერდით, იმის გვერდით, ვისაც არც ქართველობა წამს და არც მამულიშვილობა. ვინ გადაიქვას საქართველოს ეროვნულ ღირსებას, სოციალისტი თუ დემოკრატი, ჩემთვის სულიერია. მე ვიცი ვინები თაზიციან მომსრე, იმ თაზიციანისა, რომელიც იარაღის უღარუნით ცვილობს ჩაკლას უმძიმესი, უსინათლო წლების მიუხედავად სათუთად შენახული ოცნება ქართულ ეროვნულ სახელმწიფოზე, ეროვნულ ხელისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე. დღევანდელი მოვლენები იმ ძველ დროს მავონებს, როცა ასევე ძალითა და სიძულვილით ცვილობდნენ ჩვენს მოთა ჩვენი თავისუფლება. მიიღვიეს კიდევაც ამის — 70 წელი გადაავადეს ჩვენი მომავალი. ისტორია, თუკი მას კარგად ჩავვკვირდებით, ბევრ ქვეყნის სასწავლებელს გვაავაზობს. მეტი შეცდომა აღარ უნდა დავუშვათ. უნდა გავგრეკეთ, ღრმად გავიზორო ჩვენი სამშობლოს ისტორია, დღევანდელი და ვიღვართ ისე, როგორც შეშენის ცივილიზებულ ერსა და დიდი ილიას შიამომავალთ. სხვა გზა არა გვაქვს.

ჩაიწერა
თა ჯავახიძე

წერილი რედაქციას

დიდად პაციცეპული რედაქტორი!

მე ვასლავართ მრგვლი მავილის საზოგადოებრივ-პოლიტკურე განუთის თავისუფალი საქართველო-ს აქტურის მტობველი, მამია აკაის ძე დაარსალი, ჩხორაწყუს რაიონის სოფ. ნაფინოვოდან. მოგახსენებთ, რომ თქვენი გაზეთი არ მქონდა გამოწერილი და ჯიზურებში მიხლებოდა მისი ყიფა. დიდად მომეწონა გაზეთი და გამოვლენე მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან. მაგრამ დაზეთ უბედურებას, გამოწერის შემდეგ გაზეთის ერთი ნომერიც არ მიმიღია. რაიონული კვანძის ხელმძღვანელობა ასეთ განმარტებას მძლევს, რომ ივლისის თვიდან გაზეთ თავისუფალი საქართველო-ს არც ერთი

ნომერიც არ მიუღიათ. კვითარში ინდექსის ნომერი, სახელწოდება, ფასი, ყველაფერი რიგზეა. მოგმართავთ თხოვნით, რომ როგორმე თქვენმა გაზეთმა მოაწიოს ჩხორაწყუს რაიონში.

ბ. ა. ღარსალია
ჩხორაწყუს რაიონი სოფ. ნაფინოვი.
რედაქციისთვის: ჩვენ ხისხტიტურად ვვიკვეთე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, თბილისიდან ანდლოგური საუველურებით — როგორც ირკვევა, ხელმძღვანელებს არ მისდით ჩვენი ვაზეთი — ხალხსტო განუფილვებები ამასი, ესო-ფუნეჩიტა“ დინამიზულებენ. „სო-ფუნეჩიტა“ ხელმძღვანელობას ოფიციალურად ვთხოვთ ხეჩიოხულ რეგარტებას.

ილია ჭავჭავაძის მოკვლა

(1907—1957)



ადარნასა „პარტიული მეფე“

ბაბრატ I კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი ბაგრატის ძემ, დავითმა, დაიჭირა. ეს მოხდა 876 წელს. დავითი მტკიცედ დააბრუნა თავისი სამფლობელოს გაფართოების გზას, მაგრამ აღარ დასცალდა, სულ მალე მისი მოკვლეობა განიზრახა ნარსე გუარამის ძემ და „დღესა ერთსა მიიტყუა ნარსემ დავით და მოკლა იგი დღა-რით“.

დავითის დღაღუბის შემდეგ, 881 წელს, კურაპალატის წოდება მიიღო მისმა შვილმა ადარნასემ. რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ 888 წლიდან, ბაგრატიონთა საგვარეულოდან „პირველი ქართველი მეფე“ იყო ადარნასე, დავით კურაპალატის ძე და შვილიშვილი ბაგრატ I კურაპალატისა.

ადარნასეს მეფობის პერიოდში საქართველოს მეფე-მთავრების ბრძოლა კიდევ უფრო გაართულდა. საქმე ის გახლდათ, რომ ამ პერიოდში სომხეთშიც მოიკრებენ ძალა ადგილობრივი ერისთავებმა, რომელთა შორის უძლიერესი გამოდგა ამოტ ბაგრატუნის, სწორედ ამოტმა განიზრახა თავისი სამფლობელოების გაფართოება, უწინარეს ყოვლისა, ჩრდილოეთი მებრძოლების ბარჯზე და საქმესაც შეუდგა.

ამგვარად, თუ ამ დრომდე პირველობას ერთმანეთს ქართველი მთავრები ეცილებოდნენ, უკვე დავით კურაპალატის დროს ბრძოლაში სომხეთა მეფე ამოტ ბაგრატუნიც ჩაერთო. ამის გამო ბრძოლის მიზნები, ხალხურები და ასპარეზი საგრძობად გაფართოვდა. „თუ წინათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა რომელ ქართველ მთავარს დარჩებოდა საქართველოს მეთაურობა, ამიერიდან ბრძოლას უნდა გამოერკვია, ვის ჩაუვარდებოდა ხელში საქართველოს და სომხეთის, ანუ მთელი კავკასიის მეთაურობა“ (ივ. ჯავახიშვილი).

ამ ბრძოლებში ქართლს თითოეული მოცილე მთავრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ქვეყნის შუაგული იყო, იმხანად ქართლი აფხაზთა სამეფოს გაკლვის ქვეშ იმყოფებოდა. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრა ძირითადი მიზნები მისა, რომ ადარნასე და ამოტ ბაგრატუნის ერთად გამოდიოდნენ. აფხაზთა მეფის მხარეს კი ადარნასეს დაუძინებელი მტერი გამოუვლიდა ნარსის გუარამის ძე იდგა.

891 წელს გარდაიცვალა ამოტ ბაგრატუნის, სომხეთა მეფე 887 წლიდან. მეფე ადარნასე სომხეთს გაემგზავრა, რათა განსვენებულის შეიქცია, სომხეთისათვის სამძიმარი ეთქვა. გზაზე ქალაქ კარში შეუხვია, რათა სომხეთის ბიძას, აბასს, სადარბაზო სწვეოდა. აბასს ადარნასეს სომხეთთან გამგზავრება არ ესაძინებოდა. რადგან მისი ტახტის დაკავებას თავად ესწრაფებოდა და ადარნასეს სომხეთთან გამგზავრებას ხელს უშლიდა. ადარნასე სომხეთს მიანიც ეწვია და აბასის ექვემდებარებას დაჰპირდა.

როდღა — ადარნასე სომხეთს თაღებზე გახდა და სამეფო ტანსაცმლით შემოსა. გაბრაზებულმა აბასმა უკან მობრუნებული ადარნასე შეიპყრო და საიმედოდ ჩაკეტა. სუმბატი იძულებული გახდა დატყვევებული მომხრე დიდი და ძვირფასი სასყიდლით გამოეხსნა.

სომხეთა მეფის სუმბატის და ქართველთა მეფის ადარნასეს მეგობრობას თავისი გარკვეული მიზანი ჰქონდა. სომხეთის მეფე სუმბატი იმხანად აფხაზთა მეფის კონსტანტინეს წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო ადარნასე სუმბატს ეხმარებოდა, რათა აფხაზთა მეფის ვაჟულნა ქართლზე თავისი გავლენით შეეცვალა. ეს მიზანი, როცა აფხაზთა მეფე ადარნასეს სიძე იყო.

რამდენიმე ბრძოლის შემდეგ მეფე კონსტანტინე და მეფე სუმბატი დახვდნენ, გუშინდელი მტრები დამეგობრდნენ და დანათესავდნენ. ეს რომ ადარნასე მეფემ გაიგო, სასტიკად განრისხდა და რამდენადაც ადრე სუმბატის მომხრე იყო, იმდენად მისი მტერი გახდა.

ამასობაში სომხეთს არაბები შემოესია. ადარნასე ამ ბრძოლაში არაბების მხარეზე დადგა. ვასპურაკანის მთავარი გავაკი, სუმბატის ძმისწული ამოტ და ადარნასე შედრეკითხულობდნენ სომხეთსა მეფის მტერს მიეშველნენ.

ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, სუმბატ სომხეთსა მეფე დამარცხდა და აფხაზეთის მთებს მიამურა, მაგრამ არაბთა ამირა დაედევნა, შეიპყრო და 914 წელს ქალაქ ღვინში „ჩამოჰკიდა ძელსა“.

ადარნასეს მეფობის პერიოდში საქართველო ქსანელმწიფოებრივი წყობილების მხარე ჩამორჩენილი სულაც არ ყოფილა. ჯერ კიდევ ფრანგი მეცნიერი ალფრედ რამბო განცვიფრებით აღნიშნავდა: მაშინ, როცა ისეთ ძველ სახელმწიფოში, როგორც ბიზანტია, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს თურმე სახელმწიფო დავთარხანები არ არსებობდა, საქართველოში დავთარხანებიც ჰქონდათ და საბუთებსაც ინახავდნენ. საეკლესიო აგრეთვე ისიც, რომ ჯერ კიდევ ბაგრატ I კურაპალატის დროიდან საქართველოში გლახაკთა და უძლიერთა სასარგებლოდ გადასახადი, „გლახაკთა ნაწილი“, იყო დაწესებული.

ადარნასე მეფე ქართლში ტრადიციულ ქვეყნულ რეგულაციებზე დიდ ყურადღებას იჩენდა ქართველთა სულიერი ცხოვრების შემდგომ განსამტკიცებლად. ქართული მართლმადიდებლობის ზრდაში ადარნასესეულ თავისი წვლილი შეიტანა. კერძოდ, სწორედ მან „ალაშენა ბაზა ქელითა კვირიკე ბანგლისათა, რომელი იქმნა პირველი ეპისკოპოს ბანელი“.

ადარნასე ქართველთა მეფე 923 წელს გარდაიცვალა.

მოამზადა ბ. მახვილიძემ

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ილია ჭავჭავაძე მოიკლა ვერაგულად. ის მართლაც „შავი დრო“, როდესაც უდიდესი ქართველი ტყვეობის უკანასკნელი ტრაგედია იყო. რად იყო ილია ჭავჭავაძის მოკვლა ქართველი ერის ტრაგედია? იმიტომ რომ მან დაჰკარგა დიდი მწერალი და დიდი მოღვაწე? არა: ილიასთვის დიდი საქმენი უკვე აღსრულებულნი ჰქონდნენ, იგი უკვე მოხუცი იყო, საუკუნოდაც არავინ ცოცხლობდა და ცხოვრების მიმწუხრს მოსალოდნელია ყველასათვის ამ სოფლითგან განსვლა. — იმიტომ რომ იგი ქართველთა ხელის მოცილება მართლაც უკანასკნელი იყო და დღეს მოსაკლავად განწირული ქართველი ერისა.

აქ ნათლად უნდა ვხედავდეთ მიზეზს ამ საშინელი მოვლენისა, რომელიც ილიას მოკვლას დაიწყო, და არა ვაბრალოთ მკვლელების დანაშაული მეკობრეთი, არ რუსის ეხმარებით, და ამით ვაგამარტივოთ რთული მოვლენა და სინდისი დავიმშვიდოთ, — რომ ქართველ ერს ილიას მოკვლის დანაშაული არ მიუძღვის და სხვა.

ილია დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა საქართველოში ილიას გარეგნული იდეოლოგიისა და უცხო, შორითგან შემოტანილ მარქსიზმს შორის. ამ უკანასკნელის „რევოლუციონერობა“ სამკაცრებელ და დაუნდობლობამ იმსხვერპლა საქართველოს დიდი „წინასწარმეტყველი“, — მოვლენა, რომლის შესაგვის სხვაგანაც გვინახავს. ქართველ ერს ეს არ მიუსჯია სიკვდილი თვისი „წინასწარმეტყველებისათვის“, არამედ ვნება მას არგუნეს სასჯელად იმ უსჯულთა სინდისის ქართველთა, რომელთაც ერი არ სწამდა და ილიას მოკვლის თოხანმეტი წლის შემდეგ თვით მთელი ერი, მონობისაგან ახლად განთავისუფლებული, უცხო ძალებით შეიპყრეს, ჯვარსაცვებს და დღემდე ჯვარზედ ჰყავთ გავრეული.

ილია ჭავჭავაძისთვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი პიროვნება იყო, ერთი მთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით

იგი იმავე პიროვნებად დარჩა. დროთა სრბოლაში, მისი ისტორიის განმავლობაში მას არა თუ მხოლოდ თვისი განსაკუთრებული თვისებათა მქონე მოდგმა შეუნახავს, არამედ მას შეუქმნია დიდი ღირებულებანი კულტურისა. ზმირად განმცლები დიდი ტრაგედიისა, ზმირად დამარცხებული და განადგურებული, იგი მუდამ იყო მცდელი თვისი ენერგიით ნაციონალურ კვლავ აღდგომისა და განახლებისა, და ამ ენერგიის წყარო იყო ყოველი ნაწილი მისი, ერის შვილი ყოველი სოციალური მდგომარეობისა, — ყოველი წესწყობილების დროს. „ჩვენ ყველანი ერთნი ვართ“, ერთი ერის შვილინი, ამბობდა ილია და სამსახურის საზოგადოებისა მისთვის ერის სამსახური იყო, გაუმჯობესებისათვის და წინსვლისათვის ყველა მის ნაწილთა, ყოველი მისი წევრის უზრუნველყოფილ, თავისუფალ, მეგობრულ და ღირსების მქონე პიროვნებად ქცევისა, — ერთი მთელი ერის სამართლისად და ღირსეულად თვითყოფილებისათვის. ერის ნივთიერი სიმდიდრე ყველასათვის უნდა იყოს წყარო კეთილდღეობისა, და არა ერთი ნაწილისათვის ერისა, და ენერგიის გაღება ამ სიმდიდრის ზრდისათვის ყველას მოეთხოვება. — უწარსულო ერი უღირია, ეს თვით მისი ნიშნავს, რომ მისი ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში უქმი, და თვით იგი ყოველი შემოქმედებითი ნიჭის არა-მქონე ყოფილა, ხოლო რაც წარსულში ერს შეუქმნია დიდი და სამარადისო ღირებულების მქონე, მას შესწავლა, ცოდნა, პატივი უნდა, რომ კულტურულ ერად დადგეს იგი სხვა კულტურულ ერთს შორის. „ვეითისა“ შენახვა და „ჯერკვალის“ განგდება ერის ნამოქმედარობისა წარსულისა, ცხოვრების რომელი წარსულთანაც უნდა იყვნენ ივინი, ერთი უდიდესი საზრუნავთანაა ერის მსახურისათვის, ვინავე მხოლოდ წარსულთან უშუალო კავშირი ინახავს იმ სულს, რომელიც მას უღვას იმ დღითან, როდესაც ერი ერად გახდა. ხოლო გმობა წარსულისა საკუთარი თავის გმობაა, და მოწყვეტა მისგან, — განადგურება, არარად ქცევა, და არა განახლება ცხოვრებისა.

შორს წავიკვივან ილია ჭავჭავაძის მსოფლიოს ხედვის აღწერა. ვიკმაროთ ეს, რაც ვთქვით. ამ აზრებით ხელმძღვანელი ემსახურებოდა ილია თვის ერს, საქართველოს, — სიტყვით, კალმით და საქმით. დიდი პოეტი, ძლიერი თეორიტიკოსი, შეუდარებელი პუბლიცისტი, მრავალფეროვანი ცოდნით აღჭურვილი და აროდეს უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ მწერალი ან მეტყველი, დიდი ენამკვიერი, დაუძინებელი მოქმედი ყოველი საქმისა, რომელიც

ესაქართველოდა ქართველ ერს. მიიღო ქართველ ერს ქვეყნადი და იმ სახელმწიფოში, რომელიც უდიდესი იდეოლოგიისა ქართველი ერის შორის მისი განვლილი დღეწლით და თუ იგი ბუნებრივად გახდა მეთაური, ხელმძღვანელი, დამცველი, მესიდიუმო, „წინასწარმეტყველი“ მისი.

სრულიად სხვა რამ იყო საქართველოში, შემოჭრილი უცხო მსოფლიოსხედვა, მარქსიზმი, — და იდეოლოგია და საქმე მის მიმდევარ ქართველთა.

ბრძოლა ნაციონალისტთა და მარქსისტთა შორის საქართველოში შეატრი, უსიამოვნო და მთელი ერისათვის მავნებელი გახდა. თეორიულმა ბრძოლამ უკვე მნიშვნელობა დაჰკარგა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ს. დ. ებისათვის, დაამტკიცებდნენ თუ არა ნაციონალისტები მავ, ერის „ხედნაშენობის“, ან კლასთა ბრძოლით ისტორიის ამოწურვის, ან ისტორიაში პიროვნების უმნიშვნელობის უსაფუძვლობას და სხვ., ან და აჩვენებდნენ თუ არა ნათლად, რომ მავ, საქართველოს თავდა-აზნაურების მოღვაწეობა მთელი ქართველი ერისათვის იყო და არა მხოლოდ მისი კლასობრივი ინტერესებისათვის, და სხვ. — მარქსიზმმა „ხალხის“ დარაზმა მის წინააღმდეგ, ყველა „გამატონებელი“ კლასის წინააღმდეგობა, იდეოლოგიისა და ორგანიზაციული, შეგნებული „მებრძოლნი“ და „დასამარცხებელი“, მარქსისტთათვის უმთავრესი ეს იყო, ხოლო ამით ერის მთლიანობა ისპობოდა, იშლიებოდა იმ კავშირები, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აერთებდა ქართველი ერის ნაწილთა და რომელმაც შეინახა იგი ათას წელითა დროის სივრცეზედ ათას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერი განხეთქის გზაზედ იდგა, რადგანაც მისი ნაწილიც მისი, რომელსაც საქართველოში, ტერიტორიულად ზოგავდნენ, სპურველს ისხამდა თავის დაცვისათვის, და ამგვარად საქართველოს სამოქალაქო ომის ცეცხლი უნდა წაქედობდა.

ილია ჭავჭავაძის მოკვლა მთელმა ქართველმა ერმა განიცადა ვითარცა კვლა ლახვისა გულსა შუა. გლოვითა და ტირილით აღიგოს საქართველო. ყოველი სარწმუნოებისა და მღვდლობრიების ნაწილი ქართველთა ერისა, და თუ გლოვა დიდი და ღრმა იყო, დიდი იყო აგრეთვე ერისთვის: მისი თავის მოკრა მოინდობეს, წაართვა რა მას მისი დიდი მეთაური. და ეს შეიძლება მიხედვით გამხდარიყო ქართველთა მიერ ურთიერთის განადგურებისა. ამან ყველა გონს მოიყვანა. გონს მოგვიყვანა ჩვენც, მაშინდელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, რომელმაც არ იცოდა რას როტავდა და რას ჩამახვდა 1905 წლის წინად, ამ წლის დღეებში და შემდეგაც, დემოკრატია იცის ვისი და რასი გავლენით, „რევოლუციონერი ბრძოლით“ გატაცებული ილიას მოკვლამ თვალს აფიქსია. დაინახეთ „რამდენად ვართ“! დავიზამეთ ერის სამსახურისათვის, მივხედით რა, რომ სხვა უდიდესი მოვლენობა ადამიანისათვის არ არსებობს, და ჩვენმა მკითხველმა, მაგრამ მტკიცე დარწმუნებულმა თავის დროზედ თვისი მოვალეობა ერის წინაშე ნათლად აღსრული.

მისაკო წარმართული წერილი იხებდება შემცირებებით.

გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რეაქსია

გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ 1991 წ. 18 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია სტატია სთათურით „ქართველ ხალხს მეურვე არ სჭირდება“, რომლის ბოლო სვეტის პირველ აბზაცში არის ასეთი ფრაზა: — „გერმანიაში ფაშისტების გამარჯვება ხალხის ნების თანამზად მოხდა“. თავს უფლებას მიეცემ შეგახსენოთ, რომ გერმანიაში ფაშისტებს სახალხო არჩევნებში არ გაუმარჯვიათ — ისინი ხელისუფლებისათვის მივიდნენ მას შემდეგ, როდესაც შეიქმნა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რის შედეგადაც, გერმანიის მაშინდელი პრეზიდენტი პინდენბურგი იძულებული გახდა რაიხსკანცლერად დაენიშნა პიტლერი. უფრო მეტიც: არააღიაროს, არც ერთ ქვეყანაში, ხალხს თავისი ნებით დიქტატორი არ აურჩევია.

აქედან გამომდინარე, სტატიაში სხენებული აბზაცი სრულიად შედმეტია.

პატრიკი ცხელი უზრავ ბანიშვილი 18.X. 1991 წ.

გაგონივარეთ უწყვეტკვირული გაზეთი

„თავისუფალი საქართველო“	
ფასი: 1 თვით—2 მან. 15 კაპ.	
3 თვით—6 მან. 45 კაპ.	
6 თვით—12 მან. 90 კაპ.	
12 თვით—25 მან. 80 კაპ.	